ინტერპრესნიუსი

საზოგადოება

5 ოქტომბერი მასწავლებლის საერთაშორისო დღეა

13:01 05-10-2012

5 ოქტომბერი მასწავლებლის საერთაშორისო დღეა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი მისი პრეზიდენტის, მაია კობახიძის მიმართვას ავრცელებს , სადაც იგი პედაგოგებს დღესასწაულს ულოცავს და საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში წარმატებებს უსურვებს.

"უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ ურთულესი ფსიქოლოგიური და მორალური ზეწოლის მიუხედავად, პედაგოგთა კორპუსმა შეძლო ღირსეული თაობის აღზრდა ქვეყნისათვის. პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული, ადამიანთა უფლებების დაცვა, სიმართლისათვის ბრძოლის ჩვევები ახალგაზრდობაში, თქვენი ნაყოფიერი მუშაობის შედეგია, რისი დამადასტურებელი მაგალითიც გახდა სტუდენტური აქციები", _ ნათქვამია კობახიძის მიმართვაში.

ამასთან კობახიძე იმედს გამოვთქვამს, რომ ახალ რეალობაში სახელმწიფოს დამოკიდებულება პედაგოგთა მიმართ რადიკალურად შეიცვლება, რაც პედაგოგებს საშუალებას მისცემთ, მომავალი თაობის აღზრდის საქმეში ბოლომდე გამოავლინონ მათი პროფესიული და პიროვნული პოტენციალი.

მასალის გამოყენების პირობები